

Salome Lomouri

სალომე ლომოური

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

### The Poetics of Shalva Amirejibi's Dedicatory Poems

### შალვა ამირეჯიბის მიძღვნილი ხასიათის ლექსების პოეტიკა

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10942>

Most dedicatory poems by the Georgian émigré poet Shalva Amirejibi employ established European and Eastern forms. Poems from *Enamels (Blue Enamels)* are addressed to his muse and wife, Veriko Anjaparidze. The ghazal *Hazal* comprises seven stanzas in high shairi (4/4, 2/4/2). The sonnet *Manana Orbeliani*, written in classical Besiki meter (5/4/5), uses abab/abba rhyme schemes and concludes with a sonnet key again invoking Veriko, possibly prompting Lado Asatiani's pairing of names. *On the Death of Kote Afkhazi* reshapes the sonnet form through three quatrains and a three-line key, affirming Amirejibi's role in modern Georgian poetic reform.

**Keywords:** Shalva Amirejibi, dedicatory poems, sonnet, ghazal, rubai

**საკვანძო სიტყვები:** შალვა ამირეჯიბი, მიძღვნილი ლექსები, სონეტი, ყაზალი, რობაი

შალვა ამირეჯიბის, ცნობილი ქართველი ემიგრანტი პოეტის, მიძღვნილი ხასიათის ლექსების უმრავლესობა ევროპულ და აღმოსავლურ მყარ სალექსო ფორმებს განეკუთვნება. პოეტს ამგვარი ხასიათის ბევრი ლექსი აქვს. 1922-1924 წლებში მან დაწერა ს. ყანჩელის, შ. დადიანის, პ. ქავთარაძის, გრ. რობაქიძის, გ. ლეონიძის, შ. შარაძის, ი. გრიშაშვილის, კ. ანდრონიკაშვილისა და სხვათა მიძღვნილი და ეპიგრამები.

პოეტის მუზასა და მეუღლეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, ეძღვნება შალვა ამირეჯიბის ცნობილი პოეტური კრებულის „მინანქარების“ ლექსები – „ლურჯი მინანქარები“. ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია ლექსი: „ვ.ა.“, რომელიც 10-მარცვლიანი სიმეტრიული 5/5 საზომით არის შესრულებული. ლექსი ოთხი კატენისგან შედგება და ჯვარედინი – abab და ინტერვალიანი – xaxa რითმებით არის გართმული.

თქვენ სიყვარულზე მითხარით „არა“  
და მომიხურეთ გულის კარები,  
მაგრამ მე მაინც ტკბილ არმადანად  
მოგართვით ლურჯი მინანქარები.  
(„ვ.ა.“, ამირეჯიბი)

შალვა ამირეჯიბმა ვერიკო ანჯაფარიძეს მიუძღვნა „ჰაზალიც“ (დაზალი, ყაზალი, გაზელა), რომელიც მაღალი შაირით (4/4, 2/4/2) არის დაწერილი.

„ყაზალის სამშობლო არაბეთია. არაბულში მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ტრფიალი, 2. ლირიკული ლექსი. სპარსულმა პოეზიამ ფართოდ გაუღო კარი ლირიკული ნაწარმოების ამ მოქნილ ფორმას. მისი სტროფულ-რიტმული მოდელია: aa xa xa xa (x გაურითმავ ტაქს ად-ნიშნავს). ყაზალი ბეითებისგან (ორ-ტაეპოვანი სტროფებისგან) შედგება და ერთ საზომსა და რითმას ემყარება. პირველი ბეითის ორივე ტაეპი გართიმულია, დანარჩენ ბეითებში კი მხოლოდ ლუწი ტაეპები ირითმება“ (ბერიძე, 1995, გვ. 308).

*ქართულ სინამდვილეში ამ მყარი სალექსო ფორმის სახელწოდების ფონეტიკურ-ფონოლოგიურად შეპირობებული მცირედ განსხვავებული ვარიანტებია: ყაზალი, გაზელა, ყაზელი, ღაზელი. იგი ერთგვარი ლექსია, რომლის ყოველი ლუწი სტროფის ან სტრიქონის დაბოლოება ისეთივეა, როგორც პირველი სტროფის ან სტრიქონის დაბოლოება. ყაზელისთვის შესაძლებელია ყოველგვარი ზომა იქნეს გამოყენებული (ჯიქია, 2018, გვ. 487).*

შალვა ამირეჯიბის „ჰაზალი“ ბეითების ნაცვლად კატრენებად არის დაყოფილი (თუმცა შესაძლოა, ეს ბეჭდვის თავისებურებაა და ლექსი პოეტის ხელიდან ამ სახით არ გამოსულა). პოეტი 8-მარცვლიან მაღალ შაირს (4/4) იყენებს. ყოველი მეორე ტაეპის რითმა იდენტურია – „რა უნდა ვქნა“, თუმცა კლასიკური ყაზალისგან განსხვავებით, პირველი სართიმო წყვილიც ინტერვალიანია – xa. ლექსი სატრფიალო ლირიკული ხასიათისაა:

*შენ ვარდი ხარ ახლად შლილი,  
გაზაფხულზე რა უნდა ვქნა,  
შენთან ახლოს ყოფნა მინდა,  
მანძილიდან რა უნდა ვქნა,*

*საიდუმლო ვერსად გითხარ,  
მარტო ჩემთვის რა უნდა ვქნა.  
შენთვის ბევრი სიტყვები მაქვს,  
ნეტავ, მეტი რა უნდა ვქნა,*

*მზე არა მწვავს, გავიშალო,  
მთვარის შუქზე რა უნდა ვქნა,  
გული შეხვეული დამაქვს,  
გაზაფხულზე რა უნდა ვქნა?!  
(„ჰაზალი“, ამირეჯიბი)*

ცნობილი ბესიკური მეტრით – 5/4/5-თა და გართიმვის სხვადასხვა სისტემით – abab (პირველი და მეორე კატრენები) და abba (მესამე კატრენი) არის შესრულებული სონეტი „მანანა ორბელიანი“, რომელიც სონეტის გასაღებით მთავრდება. კლასიკური სონეტი ორი კატრენისა და ორი ტერცეტისგან შედგება. სონეტის გასაღები, ჩვეულებრივ, ბოლო ტერცეტში ან ბოლო სტრიქონშია განთავსებული. იგი ლექსის დედააზრს ხსნის, ანდა კონფლიქტის გადაწყვეტას გვთავაზობს. მისთვის ზოგჯერ დამახასიათებელია ე.წ. **მოულოდნელი შემობრუნება** (იტალ. *volta*).

შალვა ამირეჯიბის სონეტის გასაღები ტერცეტის ნაცვლად, ორტაეპედის სახით არის წარმოდგენილი.

*შენს ძვირფას სახეს აღარ უნდა განმეორება,  
ვერავინ შესცვლის შენს სურათზე ფერებსა მკრთალებს  
და მარადობის მიუღია მას ამბოროება  
ვით სიჯისმონდო მალატესტას ნაკვეთ მედალებს.*

*თითონი გაყრილნი თვალ-ლალებში ისვრიან ალებს,  
კამათელისა მათ უყვარდათ ნაზი გორება,*

*ცისფერ ატლასის ნაოჭებში მე რომ მაწვალებს,  
იმ დროებისა იმმუშნება ისევ ზმორება.*

*შენში კვნესიან ხმაწასული მუხამბაზები,  
ეგ არშიები გულს მესობა ყაისნაღებად  
და მიმაჩნია ჩემი თავი ათასნაქებად,  
რომ შენსა დღეებს მე აქედან ვეჯამბაზები!*

*ჯერ არ ენახეთ, ო, მანანა, ქართლისა ქალებს,  
როს შენს წინაშე ისველებდა ვერიკო თვალებს.  
(„მანანა ორბელიანი“, ამირეჯიბი)*

ი. ბეხერი აღნიშნავდა, რომ სონეტი არც ერთ ქვეყანაში არ დამკვიდრებულა სტიქიურად, თავისთავად და, რომ იგი აღმოცენდება გონივრული განსჯის, ღრმად მოფიქრებული თეორიის შედეგად (ბარბაქაძე, 2014, გვ. 382). მაშინაც კი, როცა პოეტები სონეტის კანონიკურ ფორმას ცვლიან (მაგ. კოჭლი სონეტი), ისინი დიდწილად ინარჩუნებენ ამ ფორმის ძირითად მახასიათებლებს. შალვა ამირეჯიბის სონეტიც არღვევს კლასიკურ ფორმას: სამი კატრენისა და ერთი ორტაეპედისგან შედგება.

ლექსის უკანასკნელ სტრიქონში პოეტი კვლავ ახსენებს ვერიკოს. ვფიქრობთ, ლადო ასათიანის პოეზიაში მანანა ორბელიანისა და ვერიკო ანჯაფარიძის სახელების დაწყვილება შალვა ამირეჯიბის ამ სონეტის გამოძახილი უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს მესამე კატრენის ხუთმარცვლიანი ზედაქტილური რითმები – „მუხამბაზები – ვეჯამბასები“, „ყაისნაღებად – ათასნათებად“. პოეტი, ფაქტობრივად, ქართული სონეტის ნაირსახეობას ქმნის: იგი სონეტის გასაღებში რითმის გამო აწყვილებს „ქალებს“ და „თვალებს“, ამასთანავე, ყურადღება მიემართება პოეტის მუზას – ვერიკო ანჯაფარიძეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სტროფებში მონაცვლეობს ღია და დახურული რითმები, თითოეულ სტროფში ერთი სარიტმო წყვილი ღიაა, მეორე კი დახურული. მაგალითად: ჯვარედინი რითმა (abab): „განმეორება – ამბორება“, „ფერებსა მკრთალებს – ნაკვეთ მედალებს“, „ალებს – მაწვალებს“, „გორება – ზმორება“.

8-მარცვლიანი დაბალი შაირით (5/3) არის გამართული „მიყვარდა თქვენი შლეიფი“. პოეტი კვლავ ჯვარედინ რითმას (abab) მიმართავს.

*მიყვარდა თქვენი შლეიფი,  
თქვენი კაბები გრძელყოფა,  
თქვენს დღეობაში ქეიფი,  
თქვენი უმანკო ცელყოფა.*

*მხრებზე დაყრილი ხშირი თმა,  
უბე, შეკრული ღილითა,  
საღამოს სიყვარულის თქმა  
და გაბუტება დილითა!*

*ეხლა თქვენ მოკლედ იკრიჭავთ,  
მოკლეს ატარებთ კაბებსა,  
მკლავი სულ ღია მოგიჩანთ  
და იცხებთ ფერად აბებსა!*

*დრო იყო, თითონ გცოდავდით,  
თვალი ტანთ გხდიდათ ამოსა,  
ახლა ჟინდაგიცოტავდით  
და თვალით გაცმევთ სამოსსა!*

(„მიყვარდა თქვენი შლეიფი“, ამირეჯიბი)

ამ ოთხკატრენიანი ლექსის ბოლო სტროფის რითმა – „თითონ გცოდავდით – ჟინდაგიცო-ტავდით“, რომელიც ყურადღებას იქცევს ექვსმარცვლიანი კომპოზიციით. ექვსმარცვლიანი სარიტ-მო ერთეული იშვიათია ქართულ ლექსში (მაგ. შოთა რუსთაველის „ჩავაქარაბაკე“).

8-მარცვლიანი მაღალი შაირით – 4/4 დაწერილ მიძღვნითი ხასიათის ლექსში „ნ. ამირეჯიბის ასულს“ რითმა მეორდება პირველ და მეოთხე კატრენებში: „ჟალუიზებს – ილუზიებს“.

*მთვარე სარკმელს გადმოხრილა,  
სიო არხევს ჟალუიზებს,  
შენსა ბაღში ნინო გრილა  
და ეძლევა ილუზიებს!*

*შენ ერთობი დღესაც მარი  
იცვავ ბატისტს, კისეიას,  
სხვადასხვა ხარ ვით სიზმარი,  
შესტრფი უცხო იდეიას!*

*მაგრამ ეხლა გაცრეცილი  
სდგეხარ სარკმელს და სდუმს ენა,  
გულმა გითხრა ერთი ცილი;  
ვითომც გიყვარს ვილაც შენა!*

*ჭორი უთქამს! მხოლოდ გრილა  
სიო არხევს ჟალუიზებს,  
მთვარე სარკმელს გადმოხრილა  
და ეძლევი ილუზიებს!*

(„ნ. ამირეჯიბის ასულს“, ამირეჯიბი)

სონეტის სახესხვაობათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ შალვა ამირეჯიბის სონეტიც – „კოტე აფხაზის სიკვდილზე“, რომელიც კატრენებისა და სონეტის სამტაეპიანი გასაღებისაგან შედგება. პოეტი სონეტის მეტრად კვლავ 5/4/5 ბესიკურ საზომს ირჩევს:

*როს ჩვენი დროის რეგვენობის მწირ ანარეკლად,  
ჩვენში მატურებს ისე დგამენ, ვით თივის ზვინებს,  
თავისის ფეხით ადის ბრიყვი კვარცხლბეკზედ ძეგლად  
და ჯალათობა სათნოების იწნავს გვირგვინებს.*

*შენ მოკლებული საფლავისა მყუდრო სიამეს,  
განუბანელი აიაზმით ადის წყლებიდგან,  
უცდი, შემოვა მტრის ბანაკში ეტლი პრიამის,  
რომ გამოიხსნას შვილის გვამი მტრის ხელებიდან.*

*და გენატრება შენ საფლავი სადმე მდელიოზედ,  
რომ უდგეს ბუჩქი, ზედ ბილიკი ჩაუდიოდეს  
რომ კვლავ შეგეძლოს გადმოხედვა საქართველოზედ  
და შენი გული იმის ბედზედ აღარ სჩიოდეს.*

*არ ითაკილებს ჩვენი დრო, რომ გაგხადეს ლეში,  
ჩვენ მწუხარ გულებს შენი ფიქრი მაინც უნათებს,  
და რომ სახელი დიდი გქონია შენ სიცოცხლეში,  
ეხლა შენ ამას ველარავინ დაგამუნათებს!*

(„კოტე აფხაზის სიკვდილზე“, ამირეჯიბი)

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შალვა ამირეჯიბმა 1909 წელს ჟურნალ „ჩვენ ერში“ გამოაქვეყნა „რობაიები“. რობაის გართმვის სქემაა aaba ან aaaa, თუმცა შალვა ამირეჯიბის „რობაიები“ არ მიჰყვება ტრადიციულ გართმვის სქემას, ის დაწერილია დაბალი შაირით (5/3).

გასპაროვი აღნიშნავდა, რომ „ლექსების კითხვისას ჩვენ არასოდეს აღვიქვამთ მხოლოდ იმას, რაც ნათქვამია სიტყვიერად – ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ იმასაც, რასაც გვეუბნება მათი მეტრი, რიტმი, რითმები, სტროფები“ (გასპაროვი, 2003, გვ. 13). ყველა ამ კომპონენტის ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსის კვლევისას. შალვა ამირეჯიბის მიძღვნილი ლექსების შესწავლისას ცხადი ხდება, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდა კლასიკურ საზომებსა და ლექსის იზოსილაბურ წყობას.

იზოსილაბიზმი ხელს უწყობს ლექსის მუსიკალურობას, თუმცა ევფონიური კეთილხმოვანების გარეშე, მხოლოდ საზომთა სიმეტრიულობით მუსიკალური ჰარმონია ძნელად მიიღწევა, რაც ადვილი შესამჩნევია ზემოთ მოყვანილ ზოგიერთ სტრიქონში. საყურადღებოა, რომ სამაგალითოდ მოყვანილ ლექსებში არათუ ჰეტეროსილაბიზმი, ერთი საზომის ვარიაციებიც კი იშვიათად მოიძებნება (მაგალითად, დაბალი და მაღალი შაირის შერევა). თითოეული მხატვრული ტექსტი თავიდან ბოლომდე ერთი კონკრეტული საზომით არის გამართული. სამაგიეროდ, სტროფიკაში პოეტი ხშირად უხვევს კლასიკური მყარი სალექსო ფორმის ნორმატივებიდან, თუმცა მისი ლექსების ნამდვილი სამკაული მდიდარი რითმებია.

შალვა ამირეჯიბის ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმების შესწავლისას ჩანს, რომ ემიგრანტი პოეტი ჩართული იყო უახლესი ქართული პოეზიის რეფორმაციის პროცესში და არ ერიდებოდა სხვადასხვა ფორმის გამოყენებას, რაც მის შემოქმედებას მრავალფეროვანს ხდის. მის მიძღვნილ ლექსებში ტრადიციული ქართული ლექსის მონაპოვარს ერწყმის ნოვატორობა, რაც მყარი სალექსო ფორმების სახეცვლილებებში გამოიხატება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირეჯიბი, შ. პოეზია. <https://poetry.ge/pages/shalva-amirejibi/poems>  
ბარბაკაძე, თ. (2014). ლექსმცოდნეობა. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.  
ჯიქია, მ. (2018). ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში. ნაწილი I. ისტორია. თეორია. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.  
Гаспаров, М.Л. (2003). *Очерк истории европейского стиха*. Москва: „фортуна лимитед“.

#### References:

- Amirejibi, Sh. P'oedia. [Poetry]. <https://poetry.ge/pages/shalva-amirejibi/poems>  
Barbakadze, T. (2014). *Leksmtsodneoba*. [Poetics]. Tbilisi: „tsu gamomtsemloba“.  
Gasparov, M.L. (2003). *Očerk istorii evropejskogo stiha*. [Essay on the history of European verse]. Moskva: „fortuna limited“.  
Jikia, M. (2018). *Evrop'uli da aghmosavluri mq'ari salekso pormebi kartul p'oeziashi*. Nats'ili I. Ist'oria. Teoria. [European and Eastern solid verse forms in Georgian poetry. Part I. History. Theory]. Tbilisi: „tsu gamomtsemloba“.